

სინქრონული თარგმანის განხორციელების ძირითადი მექანიზმი და თარჯიმანის როლი სამეტყველო აქტის პროცესში

ნათია ნემსაძე, ასოცირებული პროფესორი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.08>

აბსტრაქტი

ალბათობრივი პროგნოზირების სტრატეგია და უნარი უზრუნველყოფს სინქრონული თარგმანის „ერთდროულობის“ მექანიზმს, რომელიც პირობითია და არა აბსოლუტური. „ერთდროულობის“ მაღალი ხარისხის განხორციელების მიზნით, საჭიროა თარჯიმნის მიერ გამოყენებულ იქნას შეკუმშვის მექანიზმი (განსაკუთრებით დროის დეფიციტის პირობებში), რომელიც აქცენტს აკეთებს წყარო ენის მხოლოდ ყველაზე ინფორმაციული კომპონენტების აღქმასა და გადმოცემაზე.

საკვანძო სიტყვები: სინქრონული თარგმანი, სტრატეგია, „ერთდროულობის“ მექანიზმი

The Main Mechanism of Simultaneous Interpretation and the Role of an Interpreter in the Speech Act

Natia Nemsadze Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, The Department of Humanities

Abstract

The strategy and ability of probabilistic prediction provide a mechanism of “simultaneity” of simultaneous translation, which is conditional and not absolute. In order to achieve a high

degree of “simultaneity”, the translator needs to use a compression mechanism (especially in conditions of time shortage), which focuses on the perception and transmission of only the most informative components of the source language.

Kye words: Simultaneous interpretation, strategy, probabilistic prediction, “simultaneity” mechanism

სინქრონულ თარგმანს ზეპირი თარგმანის სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ზეპირი თარგმანი ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა მსოფლიოში. მაგრამ ძალიან რთულია მისი ზუსტი ისტორიის დადგენა, რადგანაც ის არამატერიალურ საქმიანობას განეკუთვნება. ზეპირი თარგმანის საჭიროება ყველაზე ძალიან მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დადგა, რადგანაც ამ დროს დაიწყო დიდი საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, სადაც უნდა მომხდარიყო ინფორმაციის ზუსტი გადაცემა. მეოცე საუკუნის შუა წლებამდე ზეპირი თარგმანის ყველაზე გავრცელებული ტიპი თანმიმდევრული თარგმანი იყო. ზეპირი თარგმანის ისეთი სახეობა, როგორიც არის სინქრონული თარგმანი, მე-20 საუკუნის ოციან წლებში განვითარდა აშშ-ი. მის შემქმნელებად გორდონ ფინლი და თომას უოტსონი მიიჩნევიან. მაშინ სინქრონულად თარგმანისას მხოლოდ მიკროფონი გამოიყენებოდა, ხოლო გამომსვლელის ხმა ტრიბუნიდან ისმოდა. მიკროფონი თარჯიმნის კისერზე მაგრდებოდა მძიმე მექანიზმის საშუალებით, რაც, რა თქმა უნდა, ართულებდა თარგმანის პროცესს. იმ პერიოდში სინქრონული თარგმანი არარეგულარულად გამოიყენებოდა. პირველად მხოლოდ სინქრონული თარგმანი (სხვა თარგმანის დახმარების გარეშე) ნიურნბერგის პროცესის დროს შედგა (ნაცისტების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო პროცესი; ჩატარდა ნიურნბერში 20.11.1945-1.10.1946წწ.). იმ პერიოდშივე განისაზღვრა სინქრონული თარგმანის განმახორციელებელი თარჯიმნის თვისებები, რომლებიც უფრო მოთხოვნებს წარმოადგენენ, ვიდრე თვისებებს. ესენია - უცხო (ენის მატარებლის დონეზე) და მშობლიური ენების თავისუფალი ფლობა; სპეციალური ლექსიკის ცოდნა; შესაბამისი სფეროს ღრმა ცოდნა; ენის მატარებლების ქვეყნის რეალიების ცოდნა; მუდმივი პრაქტიკა; ზოგადი ერუდიცია და ა.შ. ნიურნბერგის პროცესზე

სინქრონული თარგმანი ძირითად თარგმანს წარმოადგენდა და ზუსტად იმ დროს ასეთი თარგმანი დიდ საერთაშორისო ღირსშესანიშნაობებზე ყველაზე ეფექტიან თარგმანად აღიარეს. დღესდღეობით სინქრონული თარგმანი ფართოდ გამოიყენება არა მარტო საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, არამედ საქმიანი შეხვედრების, ლექციების, მოლაპარაკებების დროს, სადაც საჭიროა კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა მშობლიური ენის მქონე პირებს შორის. ამ კომუნიკაციური აქტივობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია თარჯიმნის განსაკუთრებული როლი სამეტყველო აქტის დროს, რომელიც - თარგმანის კომუნიკაციური მოდელის განხილვისას - სრულად არ კორელირებს არც მომხსენებლის და არც მსმენელის როლთან ამ ცნებების პირდაპირი გაგებით. თარჯიმანი არ არის მეტყველების აქტის პირდაპირი მონაწილე, მიუხედავად იმისა, რომ ის მეტყველებს და აქტიურად აღიქვამს ინფორმაციას. ის არის შუამავალი და უზრუნველყოფს ინფორმაციის ჩამოყალიბებული არხის არსებობას მომხსენებელსა და მსმენელს შორის. აქედან გამომდინარე, თარჯიმანმა თავისი საქმიანობისას უნდა აირჩიოს ისეთი სტრატეგიები და ტაქტიკა, რომლებიც არ ცვლის ან ანელებს, არამედ აჩქარებს ინფორმაციის ნაკადს. თარჯიმნის მიერ გამოყენებული სტრატეგიები და ტაქტიკა მოიცავს, პირველ რიგში, თარგმანისთვის (ამ შემთხვევაში, სინქრონული თარგმანისთვის), როგორც კომუნიკაციური აქტივობის განსაკუთრებული ტიპისთვის, დამახასიათებელი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას და, მეორეც, კომუნიკაციის შესაბამისი ძირითადი პრინციპებისა და წესების დაცვას. სინქრონული თარგმანის ძირითადი თავისებურებები, რომლებიც განისაზღვრება მისი გამოყენების პირობებით და გავლენას ახდენს გარკვეული სტრატეგიებისა და ტაქტიკის არჩევაზე თარჯიმნის წინაშე დასმული ამოცანის გადაჭრისას, მოიცავს:

- სპეციალური აღჭურვილობის (ყურსასმენები და მიკროფონი) გამოყენების აუცილებლობას;
- ექსტრემალურ სამუშაო პირობებს, რომლებმაც შეიძლება თარჯიმნის სტრესული მდგომარეობა გამოიწვიოს;
- თარგმანის ერთიანი თეორიისა და მეთოდოლოგიის არარსებობას, რადგან არ არსებობს თარგმანის გამოცდილების ჩაწერისა და დაგროვების ერთიანი მექანიზმი (ლექსიკონები და სახელმძღვანელოები თარგმანის შესახებ ცოდნას მხოლოდ

რეგულარული ლექსიკური და გრამატიკული შესაბამისობის თვალსაზრისით წარმოადგენენ, რაც აშკარად არასაკმარისია). გ. ე. მირამის თქმით, „ფსიქოლოგიური სტრესი და ფიზიოლოგიური დისკომფორტი, რომელსაც სინქრონული თარჯიმანი მუდმივად განიცდის, ამ პროფესიას პილოტის პროფესიასთან ადარებს“ [5, გვ. 16].

ექსტრემალური პირობები ეხება სინქრონული თარჯიმნის შემდეგ მახასიათებლებს: მოსმენისა და საუბრის პროცესების ერთდროულობას, დროის ერთეულზე ინფორმაციის შეზღუდვას; თარგმანის დასრულების აუცილებლობას წყაროს ენაზე ინფორმაციის აღქმის დასრულებისთანავე, და სპონტანურობას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეტყველი სუბიექტის ტექსტი წინასწარ არის მომზადებული და თარჯიმანს მიეწოდება). გარდა ამისა, სინქრონული თარჯიმნის მუშაობა, როგორც წესი, შეზღუდულ სივრცეში მიმდინარეობს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი გავლენას ახდენს წარმატებული სინქრონული თარგმანისთვის აუცილებელი სტრატეგიებისა და ტაქტიკის არჩევაზე. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სინქრონული თარჯიმნის მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს პოლ გრაისის თანამშრომლობის პრინციპს, ინფორმაციის წარდგენის რაოდენობის, ხარისხის, შესაბამისობისა და სიცხადის წესებს კ. ლიჩის თავაზიანობის პრინციპი, დიდი ალბათობით უნდა უგულებელვყოთ, ექსტრემალური პირობებისა და რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის უმოკლეს დროში გადაცემის აუცილებლობის გამო, აქცენტი კეთდება უშუალოდ გადაცემულ ინფორმაციაზე და არა მასში ჩადებულ კონოტაციებსა და მსმენელის აღქმებზე. გარდა ამისა, შესაძლებელია თარგმანის სტრატეგიებისა და ტაქტიკის გამოყენებაში სამი ეტაპის გამოყოფა: 1) თარგმანის წინა (პერსპექტიული); 2) მიმდინარე (სინქრონული); 3) თარგმანის შემდგომი (რეტროსპექტიული) პერიოდების. თარგმანის წინა ეტაპზე ძირითადი სტრატეგია და ტაქტიკა ერთნაირია ზეპირი თარგმანის ყველა ტიპისთვის. მთავარი სტრატეგია არის ზეპირი თარგმანის პროცესისთვის მომზადების სტრატეგია, რომელიც მოიცავს უამრავ ტაქტიკას, რომლებიც მიზნად ისახავს ზეპირი თარგმანის ძირითადი მექანიზმების ფუნქციონირების ოპტიმიზაციას. ეს ტაქტიკები მოიცავს ზეპირი თარგმანის კომუნიკაციური სიტუაციისა და შეტყობინების სემანტიკური სტრუქტურის გათვალისწინებას. პერსპექტიულ ეტაპზე მნიშვნელოვანია თარჯიმნის ფსიქოლოგიური მზადყოფნაც.

„ერთდროულობის“ მექანიზმი.

ზეპირი თარგმნისას სტრატეგიული პროგნოზის განხორციელების ძირითადი მექანიზმებია - მოლოდინის და ალბათობრივი პროგნოზირების მექანიზმები. ამ მექანიზმების მოქმედების საფუძველზე ხორციელდება „ერთდროულობის“ მექანიზმი. ზუსტად ეს „ერთდროულობის“ მექანიზმი უზრუნველყოფს სინქრონულობის ეფექტს ანუ წყარო ენაზე ინფორმაციის აღქმისა და სამიზნე ენაზე გადაცემის პროცესების ერთდროულობას. ამ პროცესში დიდწილად მონაწილეობს ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, რომელიც პასუხს აგებს ვერბალურ გამოთქმებზე, რიცხვებზე, ანალიტიკურ აზროვნებასა და წრფივ-ციფრულ ასპექტებზე. ეს ნახევარსფერო შეიცავს ვერბალურ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ ცენტრებს: სმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა. თუმცა, ამჟამად ნეიროფიზიოლოგებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ამ პროცესში ასევე მონაწილეობს მარჯვენა ნახევარსფეროც, რომელიც პასუხისმგებელია სივრცითი გამოსახულების, ვიზუალური გამოსახულების, წარმოსახვის, ფერის აღქმის, კინესთეტიკური გამოცდილებისა და შემოქმედებითობის ასპექტებზე. ტურკუს უნივერსიტეტის (ფინეთი) მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის (PET) გამოყენებით, რათა დაედგინათ, თუ რა ცვლილებები ხდება ადამიანის ტვინში სინქრონული თარგმანის დროს. ადამიანის ტვინის სხვადასხვა უბნის ჩართულობის ხარისხი სინქრონული თარგმანის დროს სხვადასხვაა. მშობლიურ ენაზე ტექსტის „ერთდროული გამეორება“ („ერთდროულობა“) ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე უცხო ენაზე ტექსტის „ერთდროული გამეორება“. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ უცხო ენაზე ტექსტის „ერთდროული გამეორება“ მეტ ფიზიკურ ძალისხმევას და, შესაბამისად, დროს მოითხოვს, ვიდრე მშობლიურ ენაზე. შედეგად, უცხო ენაზე სინქრონული თარგმანი ნაკლებად ეკონომიური ჩანს ფიზიკური და დროის ხარჯვის თვალსაზრისით, ვიდრე მშობლიურ ენაზე (თუმცა, ჩემი აზრით, უცხო ენაზე შეიძლება თარგმანი მეტად ეკონომიურიც იყოს, რადგანაც მშობლიურ ენასთან შედარებით, უცხო ენაზე უფრო ღარიბი ლექსიკური მარაგი გვაქვს ხოლმე). ამრიგად, „ერთდროულობის“ მექანიზმი სინქრონული თარგმანის გარეგან მხარეს წარმოადგენს და ქმნის მოსმენისა და საუბრის ერთდროულობის შთაბეჭდილებას. თუმცა, ზოგადად ითვლება, რომ აღქმისა და მეტყველების პროცესების დროში დამთხვევა არ არის

დამახასიათებელი ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობისთვის. შესაბამისად, ბევრი ადამიანისთვის ეს მექანიზმი, ისევე როგორც ზოგადი თარგმანი, ხშირად კლასიფიცირდება, როგორც აქტივობა, რომლის შესრულებაც მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანს შეუძლია. ამ მხრივ, გ. ე. მირამმა თარგმანი დაახასიათა, როგორც „ფსიქოფიზიოლოგიურ ანომალია“ [5, გვ. 81].

მიუხედავად ამისა, ას წელზე მეტია, სინქრონული თარგმანი წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში, რაც დაკავშირებულია ადამიანის უნართან, განახორციელოს „ერთდროულობის“ მექანიზმი და გადააანაწილოს ყურადღება. 60-იან წლებში ჩამოყალიბდა მრავალარხიანი ყურადღების ჰიპოთეზა, რაც ყურადღების არხების გადართვას გულისხმობს. ამ უკანასკნელი ჰიპოთეზის თანახმად, წყარო ენაზე მეტყველების გაგება და სამიზნე ენაზე მეტყველება ერთდროულად არ შეიძლება მოხდეს და მათი განხორციელება ყურადღების გადართვასთან არის დაკავშირებული. გარკვეული არხით შემოსული ინფორმაციის რაოდენობა სრულად არ ითიშება, არამედ მცირდება ყურადღების გადამისამართებისას. „ერთდროული გამეორების“ მექანიზმის მოქმედების დროს შესაძლებელია ყურადღების განაწილება რამდენიმე დავალებაზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეფექტურად შესრულდება. ეს უნარი განისაზღვრება ადამიანის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობით, ასევე მისი ცენტრალური ნერვული სისტემის ინდივიდუალური მახასიათებლებით. შესაბამისად, „ერთდროული გამეორების“ მექანიზმი შესაძლებელია და დამოკიდებულია ნერვული სისტემის ინდივიდუალურ პარამეტრებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმში ძირითადი პროცესების მიმდინარეობაზე, ასევე დროის მოძრაობის აღქმაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი პარამეტრით, გამეორების სრული ერთდროულობა პრაქტიკულად მიუღწეველია. თარჯიმანი კი არის მეტყველ და აღმქმელ სუბიექტს შორის არსებული დამატებითი სუბიექტი, რომელიც თავის ფუნქციას იცვლის შესაბამისი როლის შესრულებისას; ამგვარად, ამ კონკრეტულ კომუნიკაციურ არხს ჰყავს ორი „ერთდროული“ მეტყველი ან მსმენელი სუბიექტი.

ამრიგად, ალბათობრივი პროგნოზირების სტრატეგია და უნარი უზრუნველყოფს სინქრონული თარგმანის „ერთდროულობის“ მექანიზმს, რომელიც პირობითია და არა აბსოლუტური. „ერთდროულობის“ მაღალი ხარისხის განხორციელების მიზნით, საჭიროა თარჯიმნის მიერ გამოყენებულ იქნას შეკუმშვის მექანიზმი (განსაკუთრებით დროის დეფიციტის პირობებში), რომელიც აქცენტს აკეთებს წყარო ენის მხოლოდ ყველაზე ინფორმაციული კომპონენტების აღქმასა და გადმოცემაზე.

ლიტერატურა

1. Danks JH. Cognitive processes in translation and interpreting. (No Title). 1997 Mar 20.
2. Wang Y. Strategies in Simultaneous Interpreting Based Upon Effort Model. Scholars International Journal of Linguistics and Literature. 2022;5(12):431-5.